ცხადდება მიღება რეზიდენტურაში!

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ (პროფესიული მზადება) საგანმანათლებლო პროგრამებზე (რექტორის ბრძანება №14/01-01, 21.01.11):

ა) ნევროლოგია _ 6 ადგილი;
ბ) ინფექციური სნეულებანი _ 6 ადგილი;
გ) დერმატოლოგია და ვენეროლოგია _ 12 ადგილი;
დ) ოფთალმოლოგია _ 10 ადგილი;
ე) თერაპიული სტომატოლოგია _ 24 ადგილი;
ვ) ორთოპედიული სტომატოლოგია _ 9 ადგილი;

რეზიდენტურაში მიღებასთან დაკავშირებით დადგენილია შემდეგი ვადები:

ა) საბუთების მიღება: 24 იანვარი – 4 თებერვალი;
ბ) გასაუბრება: 9 _ 10 თებერვალი;
გ) შედეგების გამოცხადება: 11 თებერვალი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე (პროფესიული მზადება) ჩარიცხვის წესი

წინამდებარე წესი შემუშავებულია "საექიმო საქმიანობის შესახებ" და "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების (№ 135/ნ. 08.04.2009 წ.) "რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვის და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა" საფუძველზე და არეგულირებს ცალკეულ საექიმო სპეციალობებში რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე (პროფესიული მზადება) ჩარიცხვის წესსა და პირობებს.

მუხლი 1. რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე (პროფესიული მზადება) ჩარიცხვის საფუძველი

რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე (პროფესიული მზადება) ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის – „რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვის და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულების ან/და სასწავლებლის აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების

(პროფესიული მზადების) კურსის გავლა“ 2009 წლის 8 აპრილის №135/ნ ბრძანების საფუძველზე და მის შესაბამისად, აკრედიტაციით მინიჭებული ლიმიტის/კვოტის ფარგლებში.

მუხლი 2. რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე (პროფესიული მზადება) მისაღებ კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე პირი

1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს:

ა) უმაღლესი სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულ დიპლომირებულ მედიკოსს და დიპლომირებულ სტომატოლოგს, რომელმაც დადგენილი წესის მიხედვით ჩააბარა ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდა და მიიღო სპეციალობის მაძიებლის დამადასტურებელი მოწმობა ან/და შესაბამისი ცნობა.

ბ) სერტიფიცირებულ ექიმ-სპეციალისტს, რომელსაც სურს მოიპოვოს ახალ საექიმო სპეციალობაში დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება

გ) პირს, რომელსაც უმაღლესი სამედიცინო განათლება მიღებული აქვს საზღვარგარეთ, მისი დიპლომი აღიარებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუქტის ,,ა” ქვეპუნქტის მოთხოვნებს.

მუხლი 3. რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე (პროფესიული მზადება) გამოცხადებულ კონკურსში რეგისტრაციის პირობები

1. რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე (პროფესიული მზადება) ჩარიცხვის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას, მათ შორის, საექიმო სპეციალობის მაძიებელთა კონსულტაციებს, განცხადებების მიღებას, საბუთების დადგენილ წესთან შესაბამისობის შემოწმებას უზრუნველყოფს თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტი.
2. რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე (პროფესიული მზადება) საბუთების მიმღები კომისია მტკიცდება თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მიერ.
3. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

   ა) განცხადება რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირცხვის შესახებ (თანდართული ფორმის მიხედვით);

   ბ) ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შედეგად მინიჭებული სპეციალობის მაძიებლის დამადასტურებელი მოწმობა ან/და შესაბამისი ცნობა;

   გ) უმაღლესი სამედიცინო განათლების დამადასტურებელი საბუთი (დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი);

   დ) ავტობიოგრაფია (CV);

   ე) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

   ვ) ფერადი ფოტოსურათი ზომით 3X4.

4. არასრულად წარმოდგენილი საბუთების შემთხვევაში მაძიებლის განცხადება განხილვას არ დაექვემდებარება.

მუხლი 4. რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე (პროფესიული მზადება) ჩარიცხვის წესი და ვადები

1. საექიმო სპეციალობის მიხედვით ვაკანტურ ადგილებზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ მონიჭებული აკრედიტაციის საფუძველზე.
2. ჩარიცხვის ვადების განსაზღვრა ხორციელდება სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.
3. რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე (პროფესიული მზადება) გამოცხადებულ ვაკანტურ ადგილებზე ჩარიცხვა წარმოებს ერთიან დიპლომისშემდგომ საკვალიფიკაციო გამოცდაზე მიღებულ ქულათა რეიტინგის მიხედვით.
4. ცალკეულ სპეციალობაში ბოლო ვაკანტურ ადგილზე/ადგილებზე თანაბარი რეიტინგული ქულების მქონე სპეციალობის მაძიებელთა არსებობის შემთხვევაში, ტარდება გასაუბრება.
5. გასაუბრებას თითოეული პროგრამის ფარგლებში ატარებს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი საგანმანათლებლო პროგრამის (პროფესიული მზადება) ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი და სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მიერ დამტკიცებული დარგობრივი კომისია.
6. გასაუბრება იწარმოებს შესაბამისი დარგის პროგრამის ფარგლებში, რომლის დროსაც მაძიებელმა უნდა გამოავლინოს პროფესიული ცოდნის დონე, ოპერატიული აზროვნება, კომუნიკაციის და სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი.

მუხლი 5. (ამოღებულია)
(ბრძანება №:06/01-01, 13.01.2011)

მუხლი 6. საკონკურსო დოკუმენტების შენახვა
საკონკურსო დოკუმენტები ინახება 3 წლის განმავლობაში.

სსიპ - ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორს ალექსანდრე კვიტაშვილს

განმცხადებელი _____
(გვარი, სახელი)

მისამართი: _____

ტელ.: _____

ელფოსტა: _____

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, ჩამრიცხოთ რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამაზე სპეციალობაში

(მიუთითეთ სპეციალობა)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	ფაკულტეტი	ჩაბარების წელი	დამთავრების წელი	დიპლომის #
მინიჭებული კვალიფიკაცია				

ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შედეგად მინიჭებული სპეციალობის მაძიებლის დამადასტურებელი მოწმობის ან/და შესაბამისი ცნობა	№ გაცემის თარიღი:
ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგი	ქულა

ვადასტურებ წარმოდგენილი დოკუმენტების სისწორეს.

სპეციალობის მაძიებელი:

თარიღი: